სალექციო კურსის (სილაბუსის) პროგრამა

**სალექციო კურსის სახელწოდება:** მენეჯმენტი

**სალექციო კურსის კოდი:** S.2.E.05

**ლექტორი** – ასოც. პროფ. ია ჯიმშიტაშვილი ტელ: 27-14-99 (სახლი), 2336-71 (სამს.), 595-194036 (მობ.). E-mail: ikuna75@yahoo.com

**კრედიტების რაოდენობა**: 5 სალექციო კურსის ხანგრძლივობაა 1 სემესტრი (15 კვირა), კვირაში 1 ლექცია და 1 სემინარი, სულ 125 საათი, მათ შორის 30 საკონტაქტო და 95 დამოუკიდებელი მუშაობის.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სალექციო კურსი იკითხება სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურის განათლების მემეჯმენტის სპეციალობის სტუდენტთათვის III სემესტრში

**სალექციო კურსის მიზანი**: პრაქტიკული მენეჯმენტის, როგორც სასწავლო დისციპლინა, მიზნად ისახავს მაგისტრებს მიაწოდოს კომპლექსური ინფორმაცია ორგანიზაციის დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, სამართლებრივი ნორმების, მმართველობითი პროცესის ორგანიზების, მოტივაციის და კონტროლის, ძალაუფლების და ლიდერობის შესახებ.

**სალექციო კურსის პრერეკვიზიტი**: არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგი**:

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ექნებათ ღრმა ცოდნა პრაქტიკულ მენეჯმენტში | აქვთ ღრმა ცოდნა: ლიდერობის, ორგანიზაციის გარემოს, სტრატეგიული დაგეგმარების, მართვის ფუნქციების და ა.შ. შესახებ. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია მმართველობითი პროცესების არსის განსაზღვრა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა; აგრეთვე აქვს ახალი საჭიროებებისა და მოთხოვნების განჭვრეტის უნარი |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუ-თარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეუძლია მართვის საკითხებში სამეცნიერო სიახლეების მოძიება, აგრეთვე აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარი |

**სალექციო კურსის სტრუქტურა**

1 კვირა თემა 1

მენეჯმენტის ისტორიიდან

მართვის პრაქტიკა და ძველი ორგანიზაციები, ადამიანის ქცევის შემსწავლელი მეცნიერებების განვითარება, მართვის დონეები.

ლიტერატურა:
1. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი", გვ. 14-34
2. ტუღუში, მ. და ყირიმლიშვილი, ნ. (2005), *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 44-56

2 კვირა თემა 2

მენეჯერის როლი ორგანიზაციაში

მენეჯერის მზაობა, მოტივაცია, უნარ-ჩვევები, როლები.

ლიტერატურა:
1. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი", გვ. 36-70

3 კვირა თემა 3

მენეჯმენტის მეთოდები და პრინციპები

მართვის ძირითადი და საერთო პრინციპები და მართვის კერძო კანონები. მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ. და ყირიმლიშვილი, ნ. (2005), *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 12-29
2. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი", გვ. 72-90

4 კვირა თემა 4

მენეჯმენტის სამართლებრივი ბაზა

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა, შრომის ძირითადი სტანდარტები,

ლიტერატურა:
1. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი", გვ. 164-176

5 კვირა თემა 5

ორგანიზაციის შინაგანი გარემო

ორგანიზაციის შინაგანი გარემო, მასში მოქმედი ფაქტორები,

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და ყირიმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 58-78
2. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი", გვ. 147-148

6 კვირა თემა 6

ორგანიზაციის გარეგანი გარემო

ორგანიზაციის გარეგანი გარემო, მასში მოქმედი ფაქტორები, საერთაშორისო ორგანიზაციების გარემოცვა.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და ყირიმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 58-78
2. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი", გვ. 149-162

7 კვირა თემა 7

ორგანიზაციის პასუხისმგებლობა და ეთიკა

შუალედური წერა

იურიდიული და სოციალური პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეთიკის მართვა.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ. და ყირირმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 80-88

8 კვირა თემა 8
კომუნიკაციები

კომუნიკაციის პროცესი, კომუნიკაციის სახეობები.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და ყირირმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 88-101

9 კვირა თემა 9
გადაწყვეტილების მიღება

გადაწყვეტილების ცნება, ორგანიზაციული გადაწყვეტილებები, მისი სახეები, შემუშავების და მიღების პროცესზე მოქმედი ფაქტორები.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და, ყირირმლიშვილი, ნ. (2005), *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ. გვ. 103-116

10 კვირა თემა 10
სტრატეგიული დაგეგმარება

სტრატეგიული დაგეგმარების არსი, როლი და მისი რეალიზაცია. შიდა და გარე გარემოს შეფასება და ანალიზი. ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვლევა, სტრატეგიული ალტერნატივის შერჩევა.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და, ყირირმლიშვილი, ნ. (2005), *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ. გვ. 133-140

11 კვირა თემა 11
უფლებამოსილება და ურთიერთზემოქმედება

ორგანიზაციული უფლებამოსილება, მისი სახეები, დელეგირების არსი. მათი ეფექტურად განაწილება.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და ყირირმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 149-156

12 კვირა თემა 12
მოტივაცია და კონტროლი

მოტივაციის ცნება და კონცეფციები, ძირითადი შინაარსობრივი და პროცესუალური თეორიები. კონტროლის რაობა, სახეები, პროცესი, ეფექტიანი კონტროლი.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და ყირირმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 166-181

13 კვირა თემა 13
ჯგუფები

ჯგუფების მნიშვნელობა და ადგილი ორგანიზაციებში, არაფორმალური ჯგუფები. კომიტეტები

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და ყირირმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ., გვ. 183-188

14 კვირა თემა 14

ძალაუფლება და გავლენა

შუალედური წერა

ხელმძღვანელობის და ძალაუფლების არსი, ფორმები, სახეები.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და, ყირირმლიშვილი, ნ. (2005), *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ. გვ. 189-194

15 კვირა თემა 15

ლიდერობა

ლიდერობის სტილი, სიტუაცია და ეფექტიაობა, კონფლიქტების ბუნება, ტიპები და გამომწვევი მიზეზები, მათი მართვა. სტრესის არსი და გამომწვევი მიზეზები და მათი მართვა. ცვლილებების არსი და მათი მართვა ორგანიზაციებში.

ლიტერატურა:
1. ტუღუში, მ., და, ყირირმლიშვილი, ნ. (2005), *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ. გვ. 196-207, 209-220

სწავლისა და სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, წერითი და ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმები: სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი ფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი

10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი ფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით, თითოეულ მათგანს ენიჭება 15 ქულით.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი ფასდება ოთხჯერადად, ზეპირი გამოკითხვით, სადაც თიტოეულ გამოკითხვას ენიჭება 5 ქულა.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით. სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, კომბინირებული სახით (ტესტები, თეორიული მასალა), ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის

რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი იქნება არა ნაკლებ 10 დღისა.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება შემდეგი შეფასებები:

| | | |
|---|---|---|
| 91-100% | A | ფრიადი |
| 81-90% | B | ძალიან კარგი |
| 71-80% | C | კარგი |
| 61-70% | D | დამაკმაყოფილებელი |
| 51-60% | E | საკმარისი |
| 41-50% | FX | ვერ ჩააბარა (სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება). |
| 0-40% | F | ჩაიჭრა (სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი). |

ძირითადი ლიტერატურა:

1. ტუღუში, მ., და ყირირმლიშვილი, ნ. (2005) *მენეჯმენტის საფუძვლები*, თბ.
2. ცისკარიშვილი, მ. (2009). *პრაქტიკული მენეჯმენტი*, თბილისი: შპს "პოლიგრაფისტი".

წიგნები ხელმისაწვდომია ეკონომიკის კათედრაზე